ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ 2015 წლის პირველი ნოემბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

თეოდორე კობახიძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შეურაცხოა რაოდენობა 15 ფურცელი
№10/17601 31.10.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

თევდორე კობახიძის

2015 წლის პირველი ნოემბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით

გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

როგორც დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2015 წლის პირველი ნოემბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

აღნიშნულ ანგარიშში გაგაცნობთ ჯამურ სტატისტიკურ მონაცემებს, თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ჩატარებული სხდომებისა და განხილული საკითხების/განცხადებების ნაწილის შესახებ ინფორმაციას, ასევე მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე შემუშავებულ/განხორციელებულ კანონპროექტებსა და ღონისძიებებს.

რაც შეეხება სტატისტიკას, მოგახსენებთ, რომ საკრებულომ 2015 წლის ნოემბრიდან - 2016 წლის ნოემბრამდე პერიოდში ჩაატარა **31** სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა **103** დადგენილება და **424** განკარგულება, ხოლო იურიდიულ საკითხთა კომისიამ ზემოაღნიშნულ პერიოდში ჩაატარა **31** სხდომა და ჯამში ამ სხდომებზე განხილული იქნა **270** საკითხი.

აქვე მოგახსენებთ, რომ საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ, რომლის წევრიც გახლავართ, საანგარიშო წლის პერიოდში ჩაატარა **29** სხდომა და განიხილა **521** საკითხი.

ასევე ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" წევრი, რომლის ფარგლებშიც არაერთი ღონისძიება განვახორციელეთ და ამასთან მუდმივად ვანხორციელებთ მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ცალკეული საკითხების განხილვასა და მათი ანგარიშების მოსმენას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში აღნიშნულ პერიოდში შემოვიდა **443** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე ჩვენი მხრიდან განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, ასევე ჩემი კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მხრიდან ასობით მოქალაქეს გაეწია ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

საანგარიშო წლის დასაწყისში, ჩემი, როგორც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის უშუალო ჩართულობითა და ინიციატივით 2014 წლის 30 დეკემბრის **N20-110** დადგენილებით დამტკიცებულ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში" შევიდა ცვლილება, რომლითაც მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი აღმოიფხვრა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიეცა საშუალება დევნილთა ამხანაგობების წილი საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი საშუშაობებისათვის დაეფინანსებინა სამუშაოების დასრულების შემდგომ, ხოლო მანამდე კი გაეცა ადმინისტრაციული დაპირება.

ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვასა და საბოლოო სახის რედაქციის შემუშავებაში იურიდიული კომისიის სხდომის ფორმატში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, დედაქალაქის ათივე რაიონის გამგებელი, მათი მოადგილეები და მერიის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები.

მ/წლის 26 სექტემბერს ჩემს მიერ შემუშავებული „ხმაურის" კანონპროექტი კიდევ ერთხელ საკანონმდებლო წინადადების სახით შევიტანე საქართველოს პარლამენტში, აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის საქართველოს კანონში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" და ხმაურის ზღვრული ოდენობის დარღვევა ადმინისტრციული წესით ხდება დასჯადი.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის შემუშავება განაპირობა ასეულობით მოქალაქეთა მომართვამ, რომლებიც ხსენებული პრობლემის მოგვარებას ითხოვდნენ. არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით არაერთი შეხვედრა გავმართეთ მოქალაქეებთან ადგილზე გავეცანით არსებულ პრობლემას და დაპირებისამებრ საკანონმდებლო რეგულაციაც კიდევ ერთხელ იქნა წარდგენილი წარმომადგენლობით ორგანოში.

გარდა ამისა, ვმუშაობთ სხვადასხვა კანონპროექტებზე, მათ შორის აღსანიშნავია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ", „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ" და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი" ორგანული კანონებში განსახორციელებელ ცვლილებათა კანონპროექტები.

აღნიშნულ კანონპროექტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უახლოეს პერიოდში საკანონმდებლო წინადადების სახით შეტანილ იქნება საქართველოს პარლამენტში.

აღსანიშნავია, რომ მუდმივი კომუნიკაცია მიმდინარეობს, არამხოლოდ ფიზიკურ პირებთან, არამედ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათთან შემდგომი ურთიერთობის გაძლიერების მიზნით ვაფორმებთ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებს.

მემორანდუმები გავაფორმეთ საქართველოში წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან:

- სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსთან";
- „ავერსის კლინიკასთან";
- „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრთან";
- სამედიცინო კლინიკა „ლანცეტთან";
- „თბილისის ზღვის ჰოსპიტალთან";
- „გერმანულ კლინიკასთან";
- საქართველო-ისრაელის ერთობლივ კლინიკა „გიდმედთან";
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან";
- „თვალის დიაგნოსტიკურ ცენტრთან";
- „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრთან";
- საპატრიარქოს „წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრთან" და
- თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის „პირველ საუნივერსიტეტო კლინიკასთან".

ჩვენი ხელისუფლების პირობებში არაერთი ჯანდაცვის პროგრამა შემუშავდა, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა და უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესი წვლილი ამ მიღწევებში სწორედ აღნიშნულმა სამედიცინო დაწესებულებებმა შეიტანეს.

ჩვენი თანამშრომლობის მიზანია ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და ჯანდაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და ერთობლივი ძალებით გამოსწორება.

აღნიშნული ურთიერთანამშომლობის ფარგლებში მ/წლის 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით, ფალიაშვილის ქუჩაზე არსებულ „გერმანულ კლინიკაში" ჩემი და გლდანის მაჟორიტარი დეპუტატ მურთაზ შელიას ინიციატივითა და ორგანიზაცია "ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავლის" ორგანიზებით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ გლდანის ბაგა-ბაღის 400-მდე თანამშომელს, რომელთაც 22 სხვადასხვა სპეციალობის ექიმმა, ინსტრუმენტულ-დიაგნოსტიკურ კვლევები ჩაუტარა, რის შედეგადაც არაერთი დაავადება იქნა გამოვლენილი და მიეცათ შესაბამისი დანიშნულება.

ზემოაღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების ხელშეწყობით უფასო გამოკვლევები ჩავუტარეთ 200 პედაგოგს და 400 - მდე სკოლის მოსწავლეს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავლთან" ერთად მრავალი მსგავსი ტიპის აქცია მაქვს ჩატარებული, წინასაარჩევნო პერიოდიდან გამომდინარე მოგვიწია დაახლოებით 5 (ხუთ) თვიანი მორატორიუმის აღება და უახლოეს დღეებში ჩვენ უკვე ვგეგმავთ ახალი აქციების ჩატარებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი დედაქალაქის მაცხოვრებელთათვის.

მ/წლის 21 იანვარს თბილისის საკრებულოს იურიდიულ კომისიასა და საქართველოს კულტურის პალატას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმი მიზნად ისახავს, ქართული კულტურის განვითარებისათვის საკანონმდებლო სფეროში მონაწილეობის მიღების მიზნით წინადადებების წარდგენას და ჩართულობის უზრუნველყოფას; ახალგაზრდობის ჩართულობას კულტურის დარგის ხელშეწყობის და დაცვის საკითხებში; ასევე, კულტურის მუშაკთა სოციალური პირობების ამაღლებისთვის ღონისძიებების გატარებას.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელ დავით ოქიტაშვილთან ერთად სოციალურად დაუცველ ყალიონაშვილების ოჯახის მძიმე მდგომარეობას ადგილზე გავეცანით.

ერთჯერადი დახმარების გაწევის გარდა ყალიონაშვილებს 8 სულიან ოჯახს, რომელთაგანაც 5 წევრი არასრულწლოვანია შუამდგომლობა გავუწიე ეკონომიკის სამინისტროსთან, რათა მოხდეს მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება.

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ იურიდიულ საკითხთა კომისიას აცნობა, რომ მიმდინარეობს ყალიონაშვილების ოჯახისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხის განხილვა.

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ:

- ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებთან" და
- ა(ა)იპ „საზოგადოებრივ დამცველთან"

აღნიშნული მემორანდუმები მიზნია ხელი შეეწყოს საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას; სხვადასხვა ქვეყნებს შორის იდეების გაცვლასა და კომუნიკაციის განმტკიცებას; იურიდიული პროფესიის განვითარებას; კანონშემოქმედებით საქმიანობაში ერთობლივი პროექტების შემუშავებას; ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვას; იურიდიული განათლებას, ახალგაზრდობის ჩართულობას ადამიანის უფლებათა შემეცნებისა და დაცვის საკითხებში; უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბებას, ადგილობრივი მოსახლეობის სამართლებრივი/სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით სამართლებრივი რეგულაციებისა და პროექტების შემუშავებას.

მ/წლის 21 იანვარს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა იურიდიულ საკითხთა კომისიასა და „ადამიანის ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდს" შორის. მემორანდუმის ფარგლებში კომისია ფონდის დაქვემდებარებაში არსებულ ხანდაზმულთა პანსიონატის ბენეფიციარებს სამართლებრივ დახმარებას გაუწევს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ:

- საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზასთან"

მემორანდუმის თანახმად, ფონდთან თანამშრომლობის მიზანია, სოციალურად დაუცველი ოჯახების, მოხუცების, ბავშვების უფლებების და თავისუფლებების დაცვა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების სამართლებრივი დახმარება. აღსანიშნავია,

რომ აქამდეც არაერთი ერთობლივი საქველმოქმედო ღონისძიება გავმართეთ და კვლავაც გამოვთქვამთ მზადყოფნას განვაგრძოთ აქტიური თანამშრომლობა ორგანიზაციასთან, რომლის ფარგლებშიც ჩვენ და ჩვენი მეგობრები გავუწევთ სამართლებრივ თუ მატერიალურ დახმარებას ფონდსა და მის ბენეფიციარებს.

აღსანიშნავია, რომ ფონდს მისი მომართვის საფუძველზე გაეწია შუამდგომლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, რათა ფონდს გადაეცეს სარგებლობის უფლებით უძრავი ქონება და ჩვენი ხელშეწყობით კიდევ უფრე მეტი შემართებით შეძლოს კეთილი საქმეების კეთება, რასაც 10 (ათ) წელზე მეტია ეს ადამიანები რაიმე რეკლამირების გარეშე ახორციელებენ.

მ/წლის 28 აპრილს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა იურიდიულ საკითხთა კომისიასა და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"-ს შორის.

მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას, იურიდიულ სფეროში თანამშრომლობას, კანონშემოქმედებით საქმიანობაში ერთობლივი ინიციატივის შემუშავებას, ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვას და უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

მემორანდუმის ხელმოწერით თანამშრომლობა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან" კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დიდი და ამავდროულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული ასოციაცია საკრებულოს ოფიციალური მეგობარი იქნება და ამ თანამშრომლობით, სამართლებლივი კუთხით როგორც დედაქალაქში ასევე სრულიად საქართველოში არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება.

მუდმივად ვახორციელებ მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გაცნობას, არაერთი შეხვედრა გავმართე როგორც ჩემს ამჟამინდელ კოლეგებთან, ასევე საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებთან.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ვაკის მე-2 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბიძინა გეგიძესთან ერთად შევხვდი აბაშიძის ქუჩის მოსახლეობას და პირობა მივეცით მათ, რომ ბიძინა გეგიძის მაჟორიტარად არჩევის შემდეგ ვაკელებისთვის ამოქმედდება ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპი რაც გამოიხატება იმაში, რომ გეგიძის ბიუროში მუდმივად ვიქნები ან თავად, ან იქნება ჩემი წარმომადგენელი, რაც მოსახლეობას გაუადვილებს კომუნიკაციას, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ასევე თვითმმართველობასთან.

საბურთალოს რაიონის გამგეობის ხელშეწყობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით გავმართეთ შეხვედრა სოფელ დიღმის მოსახლეობასთან საუბნო სამსახურის ტერიტორიულ ერთეულში.

კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენელი ჯემალ თეთრაშვილი ესწრებოდა, მოქალაქეებმა მათ წინაშე მდგარი პრობლემატური საკითხები დეტალურად გაგვაცნეს რომელთა უმრავლესობის პრობლემა მიწის ლეგალიზაციას ეხებოდა.

ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს დღემდე ჩემი კომისიის სამდივნოს თანამშრომლები უწევენ დახმარებას შესაბამისი დოკუმენტების მოწესრიგებასა და მის ლეგალიზაციოდ წარდგენაში. რამდენიმე პირის დოკუმენტები უკვე გადაგზავნილია იუსტიციის სამინისტროში რათა მოხდეს მათ საკუთრებაში რეგისტრაცია და საკითხი აღსრულების პროცესშია.

ადგილზე გავეცანი რუსთაველის #40-ში მცხოვრებ მოქალაქეთა პრობლემებს, რომელიც მათი მომართვის საფუძველზე მათ ეზოში უკანონოდ სასტუმროს ნაგებობების მიშენებას შეეხებოდა და საკითხს ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე დღეს მერიის შესაბამისი სამსახური სწავლობს.

მ/წლის 19 აპრილს ადგილზე გავეცანი პოლიტკოვსკაიას N18-ის მაცხოვრებელთა პრობლემებს, რომელთაც განცხადებით მომმართეს და ითხოვდნენ იმ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას, სადაც ისინი ცხოვრობენ.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობის საცხოვრებელი კორპუსი დავათვალიერე და ადგილზე მოვუსმინე მათ პრობლემებს, ამ საკითხის მოგვარების მიზნით შუამდგომლობა გადავაგზავნე ეკონომიკის სამინისტროში. მოლაპარაკების ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლებიც და დღეს უკვე სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მუდმივად გამოვთქვამ მზადყოფნას ვუპასუხო ყველა იმ კითხვას, რომელიც საზოგადოების, ჩვენი მოსახლეობისათვის არის საინტერესო. სწორედ ამ მიზნით, 2016 წლის პირველ თებერვალს პორტალ „კვირას" პრესკლუბში პრესკონფერენცია გავმართე ჩემი ავტორობით შემუშავებულ „ხმაურის" რეგულაციების შესახებ კანონპროექტის თაობაზე, რომლის განმავლობაშიც ამომწურავად ვუპასუხე ჟურნალისტების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას და რაც მხოლოდ ხმაურს არ უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩემს მიერ შემუშავებული კანონპროექტით დაინტერესდა მსოფლიოში უმსხვილესი სამაუწყებლო კორპორაცია „ბი-ბი-სი", რომელსაც ვრცელი ინტერვიუ მივეცი და ყველა დასმულ შეკითხვას კანონპროექტის ირგვლივ ვუპასუხე. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხით დაინტერესდნენ და სტატიები მიუძღვნეს არაერთმა უცხოურმა მედიამ.

ხსენებულ კანონპროექტთან დაკავშირებით ვიყავი ასევე მიწვეული რუსთავის 2-ის „დღის შოუსა" და TV მაესტროს „საქმიან დილაში", სადაც ასევე დეტალურად ვისაუბრე კანონპროექტის მიზნებისა და მისი მიღების აუცილებლობის შესახებ.

პირდაპირი ჩართვით ვისაუბრე, ასევე ე.წ „ხმაურის" შესახებ კანონროექტზე ტელეკომპანია პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე".

2016 წლის პირველ თებერვალს ტელეკომპანია კავკასიის მიწვევით ვიმყოფებოდი გადაცემა „თქვენი დროს" პირდაპირ ეთერში, სადაც მოსახლეობას მიეცა საშუალება პირდაპირ დაესვა კითხვები და მიეღო ამომწურავი პასუხები.

ასევე ვიმყოფებოდი მედია-კავშირ „ობიექტივის" პირდაპირ ეთერში და ვისაუბრე მოსახლეობისათვის აქტუალურ საკითხებზე და პასუხები გავეცი მათ შეკითხვებს.

მედია-კავშირ „ობიექტივის" მიწვევით პირდაპირ ეთერში სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის აქტუალურ საკითხებზე ვისაუბრე და მოსახლეობას შეკითხვებს ვუპასუხე. მსმენელებს განვუცხადე, რომ პირადად მე და იურიდიულ საკითხთა კომისიის სამდივნო მუდმივად მზად ვართ მოსახლეობის მისაღებად. შესაბამისად პერმანენტულად მიმდინარეობს იმ მოსახლეობის მიღება და შესაბამისი დახმარების გაწევა, რომლებიც მედია-კავშირ ობიექტივიში ჩემი ჩართვის შემდეგ დღემდე უკავშირდებიან კომისიას.

ასევე, პორტალ „კვირას" პრესკლუბში პრესკომფერენციაზე აქტუალურ საკითხებზე ვისაუბრე და გავაჟღერე ინიციატივა, რომ „ვარდების რევოლუციის მოედანს" კვლავ „რესპუბლიკის მოედნის" სახელი დაუბრუნდეს.

მოედანს სახელწოდება 2005 წელს, 2003 წელს მომხდარი ე.წ. ვარდების რევოლუციის საპატივსაცემოდ გადაერქვა. ვფიქრობ არასწორია რევოლუციების თუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების გამარჯვების შემდეგ ქუჩებს, სკვერებს თუ მოედნებს შესაბამისი პოლიტიკური შინაარსის სახელები დაერქვას და ეს კომუნისტური მიდგომები უნდა შეიცვალოს.

„რესპუბლიკის მოედანი" იქნება აპოლიტიკური სახელწოდება და ამავდროულად, ვფიქრობ, მოსახლეობისთვის უფრო მისაღები.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც აღნიშნულ მოედანს ჩვენი მოსახლეობა „რესპუბლიკის მოედანს" უწოდებს, რადგან ეს ამ ქალაქის და ამ მოედნის ისტორიაა 1985 წლიდან.

ასევე მუდმივად მიმდინარეობს სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა მოქალაქეებისათვის სატელეკომუნიკაციო საშუალებებით.

მუდმივად ვახორციელებთ იმ მოქალაქეთა მიღებას, რომლებიც კომისიას სოციალურ ქსელ „facebook"-ში არსებული ოფიციალური გვერდის „Tedo Kobakhidze Official"-ის საშუალებით უკავშირდებიან.

ზემოაღნიშნული შეხვედრების ფარგლებში უკვე რამდენიმე ასეულ მოქალაქეს დავეხმარეთ, მათი პრობლემები დეტალურად იქნა შესწავლილი და გაეწიათ შესაბამისი სამართლებრივი დახმარება.

მუდმივად გამოვთქვამ მზადყოფნას მოქალაქეთა მისაღებად, იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოსახვედრად არანაირი ბიუროკრატიული გზების გავლა არცერთ მოქალაქეს არ სჭირდება, მათ შეუძლიათ კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით მომმართონ და მე ყოველთვის მზად ვარ მათ მისღებად, ჩემი უფლებამოსილების ცნობის დღიდან დღემდე ყოველდღიურად მოქალაქეებს მათი მოთხოვნის შესაბამისად ვხვდები და ამისთვის არ მაქვს განსაზღვრული კონკრეტული დღე, რათა მათ მაქსიმალურად სწრაფად შეძლონ ჩემამდე თავიანთი პრობლემების მოტანა.

მოქალაქეები ძირითადად სოციალური, ინფრასტრუქტურული, დასაქმებისა და სხვადასხვა ყოფითი შინაარსის საკითხების ირგვლივ ითხოვენ დახმარებას, ასევე იურიდიულ კონსულტაციას, მათ წინაშე მდგარი სამარლებრივი პრობლემების გარკვევას, შესაბამისი მიმართულების მიცემას და შუამდგომლობის გაწევას საჭიროა, მიწის ლეგალიზაციის, თუ სხვა პირადი საკითხების ირგვლივ და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კომისიის დაქვემდებარებაში არსებული სამდივნოს თანამშრომლები თავდაუზოგავად ყველა მოქალაქეს უწევენ დახმარებას და მოხარული ვარ, რომ ყველა მათგანი გამოთქვამს კმაყოფილებას სამდივნოს გულისხმიერი დამოკიდებულების გამო. აღნიშნული მიღებების ფარგლებში ასეულობით მოქალაქეს გაეწია დახმარება.

მ/წლის 15 მარტს თბილისის 54-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მიწვევით დავესწარი აფხაზეთში დაღუპულთა უკვდასაყოფად შექმნილი მემორიალური მონუმენტის გახსნას.

მემორიალი, რომელიც აღნიშნული საჯარო სკოლის ეზოშია განთავსებული, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავასა და 54-ე

სკოლადამთავრებულ აფხაზეთის ომში დაღუპულ მებრძოლთა: არჩილ მიშველაძის, პავლე გიორგობიანის, ვაჟა სიჭინავასა და დავით ბოლქვაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ასევე ვიმყოფებოდი თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში, სადაც დირექციის მიწვევით საბავშვო კონკურსის ჟიურში მივიღე მონაწილეობა. ღონისძიება მოსწავლეთა წახალისებას ისახავდა მიზნად.

მ/წლის 2 აპრილს, აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღეს, საკრებულოს დეპუტატ ზურაბ ნეფარიძესთან ერთად აუტისტი ბავშვები მოვინახულე.

ღონისძიებაში მონაწილეობა ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს" და დღის ცენტრების „ცისარტყელასა" და „იმედის" აღსაზრდელებმა მიიღეს. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ ეს ბავშვები მიიღოს ისეთები, როგორებიც არიან და არ უნდა მოხდეს აუტისტთა დისკრედიტაცია საზოგადოებისგან. თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მათი გარემოსთან ადაპტაციის პროცესში.

მ/წლის 16 მაისს დავესწარი მსოფლიო საოჯახო კონგრესს, როგორც მოგეხსენებათ თბილისში ჩატარდა მე-10 საოჯახო კონგრესის ყრილობა, რომელზეც 80 ქვეყნიდან 200-ზე მეტი ასოციაციის წევრი იყო წარმოდგენილი.

იურიდიულ საკითხთა კომისია სამუშაო შეხვედრებისა და კომისიების ფარგლებში იხილავს, როგორც დედაქალაქისათვის მნიშვნელოვან საკითხებს ასევე ცალკეულ ინდივიდთა პრობლემებსა და თხოვნებს.

მ/წლის 25 აპრილს ჩემი ინიციატივით ატენის ქ. N19-ში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც ატენის ქუჩის N18-25-ის მაცხოვრებელთა განცხადება იქნა განხილული.

საკითხის სირთულიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, სამუშაო შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურები და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები, სხდომას ასევე ესწრებოდნენ განმცხადებელთა და ატენის ქ. N19-ში არსებული სადაო მშენებარე კორპუსის ამხანაგობის წარმომადგენლები.

საკითხზე მსჯელობისას გამოვლინდა გარემოებები, რის შესახებაც მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მხარეთა მომართვის შემთხვევაში საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და მიიღებენ კანონშესაბამის გადაწყვეტილებას.

სამუშაო შეხვედრის დასასრულს მხარეებმა კმაყოფილება გამოხატეს ჩატარებული შეხვედრისა და საკითხის სრულყოფილად განხილვისათვის.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ხელმძღვანელობამ მომმართა თხოვნით, მეშუამდგომლა მერიის სამსახურებთან. კერძოდ, მათთვის გათვალისწინებული დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა გადაენაწილებინათ მათი შეხედულებისამებრ, საქმიანობიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე და არ ყოფილიყო რაიმე ჩარჩოებში მოქცეული.

ჩვენ მათ მერიასთან რეკომენდაცია გავუწიეთ და ჩვენი დახმარებით მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება. სასახლის ხელმძღვანელობა მიზნობრიობიდან გამომდინარე მერიას წარუდგენს იმ ნუსხას, თუ რა პოზიციაზე სჭირდებათ ესა თუ ის დამხმარე მოსამსახურე. მერია შემდგომ გაუწევს მათ დახმარებას და გათვალისწინებს მათ მოსაზრებას.

სამგორის რაიონში, ლორთქიფანიძის ქუჩის მცხოვრებლებმა დახმარება ითხოვეს კანალიზაციის პრობლემის მოგვარების მიზნით. აღნიშნული საკითხი 20 მაისს საკრებულოს იურიდიულ კომისიაზე განვიხილეთ.

ლორთქიფანიძის ქუჩის მცხოვრებლების კანალიზაციის პრობლემა კომისიის წევრებს სამგორის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლია ჯახველაძემ გაგვაცნო. საკითხის განხილვას კომისიის სხდომაზე მერიის კეთილმოწყობის სამსახურის, ასევე კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომაზე ჩვენ შევთანხმდით, რომ შედგება სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ როგორ მოგვარდეს პრობლემა და შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენს მოსახლეობას გვერდით დავუდგებით.

იურიდულ საკითხთა კომისიის აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მახათას საქალაქო სასაფლაო 1-სთვის პანთეონის სტატუსის მინიჭება მოხდა.

ასევე ჩვენი მხარდაჭერით თბილისის N54-ე საჯარო სკოლას სოფიკო ჭიაურელის, ხოლო თბილისის N16-ე საჯარო სკოლას კი დავით სარაჯიშვილის სახელი მიენიჭა.

მ/წლის 15 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შევხვდი თურქეთის, ანტალიის რეგიონის ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროთა ქსელის „Maxx Royal"-ის მფლობელებს და ტურ-ოპერატორ „კაპიტანი+"-ის

წარმომადგენლებს, შეხვედრას ასევე „Xclusive Travel"-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მას შემდეგ რაც, ჩემს მიერ მათ მიეწოდათ ინფორმაცია დედაქალაქში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემოსა და მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ „Maxx Royal"-ის სასტუმროთა ქსელის მფლობელები დაინტერესდნენ საქართველოს დედაქალაქით და სტუმრების მხრიდან მივიღეთ დაბირება, რომ სამომავლოდ „Maxx Royal"-ის უმაღლესი დონის სასტუმროს გახსნას თბილისშიც დაგეგმავენ.

იურიდიულ საკითხთა კომისიას მუდმივად გვაქვს კომუნიკაცია ახალგაზრდა თაობასთან. პირადად მე, მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდა მკვლევარ-მეცნიერს გიორგი კობახიძეს შევხვდი და მცირედი წვლილი შევიტანე მის სამეცნიერო საქმიანობაში, მინდა გითხათ, რომ გიორგიმ უკვე მეორე წიგნი გამოსცა და მისი ნამუშევრის თემატიკაა ჩვენი დაკარგული ტერიტორიების უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

წიგნი სახელწოდებით - „აფხაზეთი - ქართული სულიერების სამკვიდრო, საეკლესიო არქიტექტურული ძეგლები და სიწმინდეები" გამოცემაში ჩართული იყო ასევე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურები, რომელთაც ჩვენი შუამგომლობა გაითვალისწინეს და ჩვენ ერთად საშუალება მივეცით გიორგის წიგნს დღის სინათლე ეხილა.

ვფიქრობ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობას მათ მიერ მიღებული განათლებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების კუთხით, ასევე მათი ცოდნის გაღრმავებას ადგილობრივი თვითმართველობასთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობაში.

სწორედ ამ მიზნით ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან";
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან";
- „კავკასიის უნივერსიტეტთან";
- „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან";
- „საქართველოს უნივერსიტეტთან";
- „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან";

- „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან" (ALMA MATER);
- „ნიუ ვიჟენ" უნივერსიტეტთან - New Vision University;
- „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან" (CIU);
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის „ქართულ უნივერსიტეტთან"

რათქმაუნდა უახლოეს მომავალში ყველა უნივერსიტეტს მოვიცავთ და მივცემთ საშუალებას ჩაერთნონ თვირთმართველობის პროცესებში.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიასა და საქართველოს ათ უმაღლეს სასწავლებელთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მიზანს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდა თაობის ჩართულობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომდგენლობითი ორგანოს მიმართ ახალგაზრდების ნდობის და ინტერესის ამაღლება წარმოადგენს.

მემორანდუმის ხელმომწერ მხარეებს ერთობლივი ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის განხორციელების, კერძოდ, უმაღლესი აკადემიური განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების პროფესიული მომზადებისა და განვითარების ხელშეწყობის, სასწავლო პროცესში სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების, კომისიის საქმიანობის პროცესში ჩართულობით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განმტკიცების საშუალება ექნებათ.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილმა უკვე გაიარა პრაქტიკული კურსი იურიდიულ საკითხთა კომისიაში. ეტაპობრივად ყველა სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტები გაუწევენ რეკომენდაციას მიეცემათ საშუალება გაიარონ პრაქტიკული კურსი და განიმტკიცონ თეორიული ცოდნა.

ზემოაღნიშნული ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში შეხვედრაზე ვიმყოფებოდი ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტებთან, შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებს ინფორმაცია მივაწოდე ახალგაზრდული საკრებულოს შესახებ და დავპირდი, რომ უხლოეს დღეებში მოვახდენდი მის რეგისტრაციას.

თბილისის ახალგაზრდული საკრებულო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ახალგაზრდა თაობასთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ორგანიზაცია მთლიანად აგებულია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსა და დედაქალაქის საკრებულოს მოწყობის პრინციპზე. ორგანიზაციას ეყოლება მართვის ორგანო, ასევე ორგანიზაციაში შესაძლოა შეიქმნას სხვადასხვა კომიტეტები.

ყველა სტუდენტს ექნება საშუალება შეავსოს განაცხადი გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აქვე მინდა გითხრათ, რომ ყველა სტუდენტს, რომელსაც შესაბამისი მოტივაცია ექნება ვაძლევ პირობას, რომ მიეცემა საშუალება გაწევრიანდეს ორგანიზაციაში, თავისუფლად გამოხატოს იდეები, წამოჭრას ის პრობლემები, რომლებსაც ხედავს დედაქალაქში და არცერთი ეს საკითხი არ დარჩება განხილვის გარეშე.

დაპირებისამებრ ორგანიზაცია უკვე დარეგისტრირებულია, ჩავატარეთ ოფიციალური გახსნა სადაც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. ვფიქრობ მათ მივცემთ საშუალებას არამარტო აქტიურად ჩაერთონ ქვეყანაში, ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე პროცესებში, არამედ ჰქონდეთ მეტი კომუნიკაცია სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, გაცვალონ მოსაზრებები, იმსჯელონ განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთად შევქმნით იდეების სამჭედლოს, რომელიც არ დარჩება მხოლოდ იდეათ და ჩვენ თითოეულ იდეას შესაბამის მსვლელობას მივცემთ ქვეყნის უმაღლეს საკანომდებლო ორგანოსა თუ დედაქალაქის საკრებულოში.